დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის
2020 წლის 07. 07 *N* 04-150 *ბრძანებით*
ცვლილება: 2021 წლის 12. 02 *N* 04-02 *ბრძანება*

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“
პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მხარდაჭერის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მხარდაჭერის წესი (შემდგომში „წესი“) შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №126\ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,მერმისის" წესდების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯში „მერმისი“ (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს.
3. აღნიშნული წესი გულისხმობს როგორც ფორმალურ განათლებაში ასევე არაფორმარულ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას – ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რომელიც პირს ეხმარება განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა.

მუხლი 2. პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა

1. პროფესიული ორიენტაცია არის პროცესი, რომლის ფარგლებში დაინტერესებულ პირს მიეწოდება ინფორმაცია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება/გადამზადების პროგრამების (ფორმალური განათლების), მოკლევადიანი პროგრამების (არაფორმალური განათლების კურსები) შრომის ბაზრის და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. გარდა ამისა, პროფესიული ორიენტაცია ადამიანებს ეხმარება საკუთარი მისწრაფებების, ინტერესების, კომპეტენციების, პიროვნული თვისებების და უნარების გააზრებაში.
2. კარიერის დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც დაინტერესებულ პირს ხელს უწყობს შეიძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას სჭირდება პროფესიულ მომავალთან დაკავშირებული არჩევანის გასაკეთებლად და გადაწყვეტილების მისაღებად. კარიერის დაგეგმვის პროცესი ეფუძნება თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მდგომარეობას– ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, ინტერესებს, მოტივაციას, სხვადასხვა ფასეულობას. ის ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იმ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობით მომხმარებელი იძენს შრომის ბაზრისათვის საჭირო ცოდნას და უნარებს/კომპეტენციებს.

3. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის მიზანია კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში:

ა) დაეხმაროს ადამიანს, საკუთარი პიროვნული მახასიათებლების, მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და განვითარების პერსპექტივების გათვლისწინებით, აირჩიოს ან შეცვალოს პროფესია;

ბ) დაეხმაროს თითოეულ პიროვნებას, განსაზღვროს საკუთარი პროფესიული საჭიროებები;

გ) დაეხმაროს თითოეულ პიროვნებას, მოძებნოს პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალება;

დ) გაზარდოს პიროვნების თავდაჯერებულობა;

ე) წაახალისოს სწავლისადმი დამოუკიდებელი მიდგომა, როდესაც პიროვნებას სხვისი დახმარების გარეშე შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;

4. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები და მათი მშობლები;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები;

დ) დასაქმებული პირები, რომელთაც სურთ სამუშაოს/კარიერის შეცვლა;

ე) სამუშაოს მაძიებლები (ნებისმიერი პიროვნება, ასაკის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების განურჩევლად, რომელიც ეძებს სამუშაოს);

ვ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები (შშმპ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები;

ზ) სხვა (ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არ ჯდება);

მუხლი 3. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი

1. პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვის სერვისს კოლეჯში ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

2. კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს:

ა) კონტიგენტის მოზიდვასა და მათ სწორ პროფესიულ ორიენტაციას;

ბ)სისტემატიურად პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას (პრეზენტაციების, გამოფენების, ღია კარის დღის ორგანიზება-მოწყობა,სარეკლამო ბუკლეტებისა და ფლაერების ბეჭდვა-გავრცელებას, როგორც ადგილზე კოლეჯში, ასევე საჭიროების შემთხვევაში ონლაინ რეჟიმში (ვებინარი ან სხვა), ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა და სხვა);

გ) დაინტერესებულ პირთათვის ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების გაწევა;

დ) სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევა კარიერის დაგეგმვის, სამუშაო ადგილების მოძიების, პროფესიით დასაქმებისა და დამსაქმებლებთან ურთიერთობების საკითხებში;

ე) დაინტერესებული პირის ინფორმირებას კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების,მომზადება/გადმზადების პროგრამების,მოკლევადიანი პროგრამების, მისი მიზნების, სწავლის შედეგების და ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ;

ვ) დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციის მიწოდებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურების შესახებ (სწავლის საფასურის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) მოთხოვნის შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტების და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული პირებისათვის, ინფრასტრუქტურის დათვალიერებას და სტუდენტური სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

თ) კურსდამთავრებულთა რეესტრის წარმოებას და პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებაზე ზრუნვას.

ი) 3 თვეში ერთჯერ ატარებს პროფესიულ სტუდენტთა კვლევას კარიერული მხარდაჭერისა და პროფესიული ორიენტაციის სერვისებთან დაკავშირებით დანართი N1-ის შესაბამისად.

კ) 3 თვეში ერთჯერ ატარებს კურსდამთავრებულთა კვლევას კარიერული მხარდაჭერის სერვისებთან და დასაქმებასთან დაკავშირებით დანართი N2 -ის შესაბამისად.

ლ) ვაკანსიების შესახებ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ინფორმირებას;

მ) დამსაქმებლების მოზიდვას და მათთან ურთიერთთანამშორმლობის მემორანდუმების/ ხელშეკრულებების გაფორმებას;

ნ) სტუდენტურ ცხოვრებაზე ზრუნვას და სწავლის პერიოდში სტუდენტებისათვის სხვადასხვა ტიპის პროექტების, ინტელექტუალური, გასართობი და სპორტული ღონისძიებების შეთავაზებას;

ო) კოლეჯის საქმიანობის რეკლამირებას პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და დამსაქმებლების მოზიდვის მიზნით;

პ) შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას.

ჟ) კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას;

რ) პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას.

დანართი N1

კითხვარი განკუთვნილია სსიპ კოლეჯის ,,მერმისი“ პროფესიული სტუდენტებისათვის

ძვირფასო სტუდენტებო, გამოკითხვა ანონიმურია, ამიტომ გთხოვთ, გულწრფელად გასცეთ პასუხი ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება განზოგადებული სახით, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის სერვისების გასაუმჯობესებლად.

1. თქვენთვის მუდმივად ხელმისაწვდომია განახლებული ინფორმაცია დასაქმების, სტაჟირებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ა) დიახ

ბ) ნაწილობრივ

გ) არა

2. კოლეჯიდან ხშირად არის შემოთავაზება დასაქმების/სტაჟირების შესახებ?

ა) დიახ ხშირია შემოთავაზებები

ბ) იშვიათად

გ) არავინ დამკავშირებია

3. როგორ შეაფასებდით კოლეჯის კარიერული მომსახურების ხარსიხს?

ა)ძალიან კარგი

ბ) კარგი

გ) საშუალო

დ)დაბალი

4. ხშირად იმართება თუ არა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, საინფორმაციო შეხვედრები, შეხვედრები დამსაქმებლებთან ?

ა) ხშირად

ბ) იშვიათად

გ) არ იმართება

5. გაქვთ თუ არა მოსაზრებები კარიერული მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესების მიზნით?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“

დანართი N2

კითხვარი განკუთვნილია კოლეჯის ,,მერმისი" კურსდამთავრებულებისათვის!

ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გამოკითხვა ანონიმურია, ამიტომ გთხოვთ, გულწრფელად გასცეთ პასუხი ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება განზოგადებული სახით, დასაქმებასა, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის სერვისების გასაუმჯობესებლად.

1. თქვენთვის მუდმივად ხელმისაწვდომია განახლებული ინფორმაცია დასაქმების, სტაჟირებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ა) დიახ

ბ) ნაწილობრივ

გ) არა

2. კოლეჯიდან ხშირად არის შემოთავაზება დასაქმების/სტაჟირების შესახებ?

ა) დიახ ხშირია შემოთავაზებები

ბ) იშვიათად

გ) არავინ დამკავშირებია

3. როგორ შეაფასებდით კოლეჯის კარიერული მომსახურების ხარსიხს?

ა)ძალიან კარგი

ბ) კარგი

გ) საშუალო

დ)დაბალი

4. ხშირად იმართება თუ არა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, საინორმაციო შეხვედრები, შეხვედრები დამსაქმებლებთან ?

ა) ხშირად

ბ) იშვიათად

გ) არ იმართება

5. გაქვთ თუ არა მოსაზრებები კარიერული მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესების მიზნით?

_____

_____

6 კმაყოფილი ხართ თუ არა კოლეჯში მიღებული ცოდნითა და უნარ- ჩვევებით და იყენებთ თუ არა მათ სამუშაო პროცესში?

დიახ

არა

სხვა_____

7.ხართ თუ არა ამჟამად დასაქმებული იმ კვალიფიკაციის მიხედვით რომელიც მოგენიჭათ?

დიახ

არა

8. გთხოვთ, აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც წააწყდით სამუშაოს მოძიების პროცესში?

_____

_____

_____

9. პასუხობს თუ არა თქვენს მიერ კოლეჯში მიღებული კომპეტენციები იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?

დიახ

არა

სხვა_____

10. სწავლის დასრულებიდან რამდენ ხანში დასაქმდით?

_____

_____

11. სამუშაოს შესრულებისას ყოფილა თუ არა დამსაქმებლისგან წამოყენებული ისეთი საკვალიფიკაციო/სპეციალური ცოდნის /უნარების მოთხოვნა, რაც კოლეჯში სწავლისას არ მიგიღიათ ?

_____

_____

12. თქვენი რეკომენდაცია

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!
სსიპ კოლეჯი „მერმისი“

შეთანხმებულია:

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მოადგილე ----------/დავით უგულავა/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ ხარისხის მართვის მენეჯერი ----------/ნანა ნამგალაძე/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ სასწავლო პროცესის მენეჯერი ----------/მაია დანელია/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ სასწავლო პროცესის მენეჯერი ----------/ოლღა ციციშვილი/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ პროფორიენტაციისა და კარიერის
დაგეგმვის მენეჯერი ----------/ლალი ბეშკენაძე/

შემსრულებელი:

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ იურისტი ----------/დარეჯან გულაზიანი/